# ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ

# 2020



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ADMINISTRATION OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

# ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2020

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტი

დონორების კოორდინაციის სამმართველო
ინგოროყვას ქ.7, თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.: (+995 32) 299 09 00
dcu@gov.ge
www.eaims.ge
www.gov.ge

*დათქმა: ეს ანგარიში მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორების კოორდინაციის სამმართველოს მიერ*

# სარჩევი


დიაგრამების სია ... 4

ცხრილების სია ... 4

აკრონიმების სია ... 5

პრემიერ-მინისტრის  წინასიტყვაობა ... 7

შეჯამება ... 8

ანგარიშის მიზანი და მეთოდოლოგია ... 9

თავი 1. დონორების კოორდინაციის სისტემა და მიმდინარე დახმარების მიმოხილვა ... 11

1.1. დონორების კოორდინაციის სისტემა ... 11

1.2. საერთაშორისო დახმარება რიცხვებში ... 11

1.3. წლიური დახმარება (2020) ... 14

თავი 2. დახმარება თემატური მიმართულებების მიხედვით ... 16

ეკონომიკური ზრდა ... 16

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება ... 18

სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება ... 20

დემოკრატიული  მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება ... 23

სხვა დახმარების ნაკადები ... 25

საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნები ... 26

COVID-19-ის საპასუხოდ მიღებული დახმარება ... 28

დანართი 1 - თემატური მიმართულებები და OECD სექტორები ... 30

დანართი 2 - მიმდინარე დახმარების მონაცემები ... 33

# დიაგრამების სია


დიაგრამა 1. დახმარების განაწილება ტიპების მიხედვით ........ 8
დიაგრამა 2. 10 უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით ........ 12
დიაგრამა 3. დახმარების ნაკადების თემატური განაწილება ........ 14
დიაგრამა 4. 2020 წლის ხუთი უმსხვილესი დონორი ........ 14
დიაგრამა 5. მრავალმხრივი და ორმხრივი დახმარება 2020 წელს ........ 15
დიაგრამა 6. დახმარება ტიპების მიხედვით 2020 წელს ........ 15
დიაგრამა 7. მიმდინარე კომულაციური დახმარება მოცულობის და OECD სექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა) ........ 17
დიაგრამა 8. დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება) ........ 20
დიაგრამა 9. უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ........ 22
დიაგრამა 10. უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება) ........ 24


# ცხრილების სია


ცხრილი 1. 2020 წლის 10 უმსხვილესი დონორი მოცულობის მიხედვით ........ 12
ცხრილი 2. ორმხრივი და მრავალმხრივი დონორების მიერ გაცემული მიმდინარე დახმარების მთლიანი მოცულობა ........ 13
ცხრილი 3. სხვადასხვა ტიპის დახმარება ორმხრივი დონორებისგან ........ 13
ცხრილი 4. ორმხრივი დონორები, რომლებიც დახმარებას გასცემენ მხოლოდ გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით ........ 13
ცხრილი 5. მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობისა და OECD სექტორების მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება) ........ 23
ცხრილი 6. ჯამური მიმდინარე დახმარება მოცულობისა და OECD სექტორის მიხედვით (დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება) ........ 25
ცხრილი 7. სხვა დახმარების ნაკადები - უმსხვილესი დონორები მოცულობისა და დახმარების ტიპის მიხედვით ........ 25
ცხრილი 8. ძირითადი ფინანსური ნაკადების მოცულობა და კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან ........ 27
ცხრილი 9. დონორების დახარება COVID-19-ის დროს - უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით 2020 წელს ........ 29
ცხრილი 10. დონორების დახმარება COVID-19-ის დროს დახმარების ტიპისა და წილის მიხედვით ........ 29

# აკრონიმების სია

**AA** ასოცირების შეთანხმება
**ADA** ავსტრიის განვითარების სააგენტო
**ADB** აზიის განვითარების ბანკი
**AFD** საფრანგეთის განვითარების სააგენტო (Agence Française de Développement)
**AIIB** აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი
**AoG** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
**CoE** ევროპის საბჭო
**CRS** კრედიტორების ანგარიშგების სისტემა
**COVID-19** კორონავირუსული ინფექცია 2019
**DAC** განვითარების დახმარების კომიტეტი
**DCU** დონორების კოორდინაციის სამმართველო
**eAIMS** საგარეო დახმარების ინფორმაციული მართვის სისტემა
**EBRD** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
**EG** ეკონომიკური ზრდა
**EIB** ევროპის საინვესტიციო ბანკი
**EU** ევროკავშირი
**EUR** ევრო
**GDP** მთლიანი შიდა პროდუქტი
**GEF** გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
**GEL** ქართული ლარი
**GG** დემოკრატიული მმართველობა
**GHG** სათბურის აირები
**GoG** საქართველოს მთავრობა
**HCD** ადამიანური კაპიტალის განვითარება
**IDA** განვითარების საერთაშორისო ასოციაცია
**IFC** საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
**IFIs** საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები
**IMF** საერთაშორისო სავალუტო ფონდი
**KfW** გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
**LEPL** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**MICS** მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
**MoH** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
**NATO** ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
**NDC** ეროვნულად განსაზღვრული წვლილი

**NEAP** გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო პროგრამა
**NECP** ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა
**NBSAP** ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
**ODA** განვითარების ოფიციალური დახმარება
**OECD** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
**PA** საჯარო სამსახური
**PAR** საჯარო სამსახურის რეფორმა
**PFM** საჯარო ფინანსების მართვა
**RDP** რეგიონული განვითარებს პროგრამა
**RLJ** კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება
**SDC** შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
**SDGs** მდგრადი განვითარების მიზნები
**SIDA** შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
**SMEs** მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
**SOE** სახელმწიფოს კუთვნილი საწარმო
**SUNR** ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება
**TA** ტექნიკური დახმარება
**TSA** მიზნობრივი სოციალური დახმარება
**TSO** გადამცემი სისტემის ოპერატორი
**UK** გაერთიანებული სამეფო
**UN** გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
**UNFCCC** გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია
**UNICEF** გაეროს ბავშვთა ფონდი
**USA** ამერიკის შეერთებული შტატები
**USAID** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
**USD** აშშ დოლარი
**VET** პროფესიული განათლება და გადამზადება
**VNR** ნებაყოფლობითი ეროვნულ მიმოხილვა

# პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა



2020 წლის ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ წარმოგვიდგენს ჩვენთვის პატივსაცემი განვითარების საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების სრულ სურათს. 2020 წლის განმავლობაში, მსოფლიოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ახალმა კორონავირუსმა ზეგავლენა იქონია მთელს მსოფლიოზე და ქვეყნები, განურჩევლად მათი ეკონომიკური თუ სოციალური სიძლიერისა, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. ამრიგად, ჩვენ განსაკუთრებით მადლიერები ვართ ჩვენი პარტნიორების მხრიდან ქართველი ხალხის უწყვეტი და მტკიცე მხარდაჭერისთვის.

საქართველოს მთავრობა განაგრძობს წარმატებულ რეფორმებს უსაფრთხოების, დემოკრატიული ინსტიტუტის გაძლიერებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მსურს ხაზი გავუსვა იმ პროგრესს, რასაც მთავრობამ მიაღწია სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად სახელმწიფოს როლის გაზრდის, ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების, როგორც ბიზნესის სტიმულირების, ასევე მოქალაქეებისთვის სხვადასხვა გრანტებისა და თანადაფინანსების მექანიზმების გზით. დამატებით, ჩვენ ვგეგმავთ მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომ წახალისებას ეკონომიკური აქტივობის განვითარების, მეტი ინკლუზიურობის უზრუნველყოფის, ქვეყნის უფრო მდგრადი ეკონომიკური სტრუქტურის შექმნისა და ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით.

კიდევ ერთი ამბიციური გეგმა მაკროეკონომიკური სტაბილურობის და ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება და საშინაო და საგარეო მოწყვლადობის შემცირებაა. საგარეო ვალის მართვის სტრატეგიული მიზანი მთავრობის ვალის შემცირება და მასში ლარში არსებული ვალის წილის ზრდა, ასევე, ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და ადგილობრივ ვალუტაში სესხებზე ფოკუსირებაა.

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტებს შორისაა. ადამიანის უფლებების მეორე ეროვნული სტრატეგია უზრუნველყოფს ინსტიტუციური დემოკრატიის დაცვასა და საქართველოს მოქალაქეების მიერ სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებებით თანაბრად სარგებლობას. სტრატეგია აღიარებს ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და, ამ დათქმიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოწყვლად ჯგუფებს.

საქართველო მტკიცე ერთგულებას უცხადებს კონსტიტუციით გაცხადებულ ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის გზას, ისევე, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებას ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგისა და გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის შესაბამისად. მომდევნო წლების საერთო მიზანია ქართველი ხალხისთვის ცხოვრების უმაღლესი სტანდარტების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და დაცულობას ჩვენი მოქალაქეებისთვის. თუმცა, ვერანაირი ამბიციური გეგმის შესრულება ვერ იქნება შესაძლებელი ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დახმარების გარეშე. წლიური ანგარიში საგარეო დახმარების შესახებ კარგად წარმოაჩენს შედეგიანი თანამშრომლობის დინამიკას საქართველოს მთავრობასა და განვითარების პარტნიორებს შორის. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს საერთაშორისო მეგობრებსა და პარტნიორებს ურყევი მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

**ირაკლი ღარიბაშვილი**
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

# შეჯამება

2020 წლის წლიური ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ საერთაშორისო დონორების მიერ საქართველოსთვის გაწეულ დახმარებას მიმოიხილავს. ანგარიში დახმარებას აანალიზებს ტიპებისა და თემატური მიმართულებების მიხედვით. მთლიანობაში, საქართველოსთვის გაწეული საგარეო დახმარების ტენდენციები ეხმიანება ქვეყნის რეფორმების პრიორიტეტებს.

2020 წელს, საქართველოსთვის გაწეული დახმარება, წინა წელთან შედარებით, ჯამურად 29.65%-ით გაიზარდა და თითქმის 27.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

აქვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე საკითხი :

- ზოგიერთი თემატური მიმართულების დაფინანსება გაიზარდა. 'დემოკრატიული მმართველობის' დაფინანსება 65%-ით გაიზარდა, რაც ყველაზე დიდი პროცენტული ზრდაა.
- დახმარების 82% სესხებზე მოდის, 13% კი - გრანტებსა და გარანტიებზე. დარჩენილი დახმარება გაიცა ტექნიკური დახმარების (ექსპერტები და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება[1]) და ჰუმანიტარული დახმარების სახით.
- სესხებისა (86%) და გრანტების (12%) უდიდეს ნაწილს მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტები გასცემენ. ორმხრივი დონორები დაფინანსებას სწევენ გრანტების/გარანტიების ან/და ტექნიკური დახმარების ფორმით, თუმცა ზოგი ორმხრივი დონორი, მაგალითად გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, იაპონია და აშშ სესხებსაც გასცემენ.
- აღსანიშნავია, რომ საქართველოს შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა ქვეყანა ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს გამკლავებოდა, საქართველომ მიიღო დამატებითი სესხები, გრანტები, საგანგებო დაფინანსება და ტექნიკური დახმარება (იხ. ცხრილები 7 და 8). COVID-19-ის საპასუხოდ დახმარების გამო, კატეგორია „სხვა" დაფინანსება დაახლოებით 93.8%-ით გაიზარდა.




*დიაგრამა 1. დახმარების განაწილება ტიპების მიხედვით*

[1] ანგარიშში მატერიალურ-ტექნიკური დახმარება განისაზღვრება, როგორც დახმარება ტექნოლოგიის, კომპიუტერული პროგრამების და ტექნიკის მეშვეობით.

# ანგარიშის მიზანი და მეთოდოლოგია

ამ ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს 2020 წელს საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთვის გაწეული მიმდინარე კუმულაციური დახმარების სრული სურათი. ანგარიშს წვლილი შეაქვს დახმარების ეფექტიანობის ანალიზში, აძლიერებს ეროვნულ მიკუთვნებულობას და ეროვნულ პრიორიტეტებთან ბმას, აუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას და ეფექტიანობას. ანგარიში ფოკუსირდება ორმხრივ და მრავალმხრივ განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე (ODA) განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) სტატისტიკური ანგარიშგების დირექტივების განმარტების შესაბამისად[2].

ამასთან, ანგარიში მიმოიხილავს მთავრობის რეფორმების დღის წესრიგს და პარიზის დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად, მიზნად ისახავს, დაუკავშიროს რეფორმები მიღებულ დახმარებას[3]. ანგარიში ასევე მოიცავს დონორი ორგანიზაციების დახმარებას 2020 წელს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესასრულებლად და COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ.

ანგარიში 2020 წლის დახმარებას აღწერს, თუმცა ის 2021 წელს მომზადდა, COVID-19-ის პანდემიის მეორე წელს. ანგარიში ეყრდნობა საგარეო დახმარების ინფორმაციული მართვის სისტემის მონაცემებს[4]. მონაცემთა ბაზას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორების კოორდინაციის სამმართველო (DCU) მართავს და მას ნებაყოფლობით ავსებენ საერთაშორისო პარტნიორები.

2020 წლის ანგარიში საგარეო დახმარების შესახებ სამი თავისგან შედგება. პირველი თავი მოიცავს ინფორმაციას დონორების კოორდინაციის სისტემის შესახებ და ზოგადად მიმოიხილავს საქართველოს მიმდინარე დახმარებას. მეორე თავში გაანალიზებულია მიმდინარე რეფორმების 6 თემატური მიმართულება და უფრო დეტალურადაა აღწერილი დონორების მიერ გაწეული დახმარება. თითოეულ პრიორიტეტულ/თემატურ მიმართულებას თან ახლავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვესექტორების ჩამონათვალი (CRS-ის ხუთციფრიანი მიზნობრივი კოდები) განვითარებაზე ორიენტირებული დახმარების სწორი კლასიფიკაციისთვის[5]. ეს მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება. ძირითადი ინფორმაციის მოკლედ გადმოსაცემად თემატური მიმართულებები - სოციალური კეთილდღეობა და

---

[2] http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-standards/DCDDAC(2016)3FINAL.pdf

[3] სრულ თანხმობაშია OECD-ის მიერ გაწეულ სამუშაოსთან ახალი ღონისძიებების – მთლიანი ოფიციალური დახმარება მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (TOSSD) – შესამუშავებლად, რათა ხელი შეეწყოს განვითარების ოფიციალური და სრული ფინანსური მხარდაჭერის უფრო მეტ გამჭვირვალობას 2030 წლის დღის წესრიგის მხარდასაჭერად იმ რესურსების ჩათვლით, რომლებიც გამოიყო სამხრეთ-სამხრეთისა და სამკუთხა თანამშრომლობის ფარგლებში მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტებისა და ასევე ახალი და ტრადიციული დონორების მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://oe.cd/tossd

[4] სისტემა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის დონორთა კოორდინაციის სამმართველოს, ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კვლევებისა და სისტემების ანალიზის დეპარტამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის ერთობლივ პროდუქტს. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.eaims.ge.

[5] სექტორის ჩაშლა თითოეული თემატური მიმართულების მიხედვით მოცემულია 1-ელ დანართში.

ადამიანური კაპიტალის განვითარება გაერთიანებულია და მათზე ანგარიშგება ერთად ხდება; იგივე ეხება დემოკრატიულ მმართველობასა და კანონის უზენაესობას და მართლმსაჯულებას. ისეთი სახის დახმარება, რომელიც ექვსიდან არც ერთ თემატურ მიმართულებას არ განეკუთვნება, ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც „სხვა.“ ამასთან, ანგარიშის მეორე თავი მოიცავს დონორების მიერ გაწეულ დახმარებას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ასევე, დონორების მიერ COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ გაწეული მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების გათვალისწინებით, რომელიც მიმდინარე ეკონომიკური, ჯანდაცვის და სოციალურ კრიზისთან გასამკლავებლად იყო გამიზნული, ანგარიშს დაემატა ქვეთავი პანდემიის დროს დონორების დახმარების შესახებ.

# თავი 1. დონორების კოორდინაციის სისტემა და მიმდინარე დახმარების მიმოხილვა

## 1.1. დონორების კოორდინაციის სისტემა

2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საგარეო დახმარების კოორდინაციის წესი[6] , რითიც შექმნა მექანიზმები და ინსტრუმენტები განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე მთავრობის მხრიდან პატრონაჟისა და პასუხისმგებლობის გაზრდისთვის. მთავრობის მიზანია, დონორების დახმარება ეროვნულ პრიორიტეტებს შეუსაბამოს, როგორც ეს დახმარების ეფექტურობის საერთაშორისო პრინციპებითა და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ვალდებულებებითაა გათვალისწინებული.

დონორების კოორდინაციის სამსახური, როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის ნაწილი, განვითარებაზე მომუშავე პარტნიორებთან შეთანხმებით, მუშაობს დახმარების კოორდინაციის უფრო ეფექტური მექანიზმებისა და პროცესების დანერგვაზე. ფინანსთა სამინისტრო კოორდინაციას უწევს საგარეო ვალთან და სესხების პორტფელთან დაკავშირებულ საკითხებს.

## 1.2. საერთაშორისო დახმარება რიცხვებში

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო კვლავ დგას COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის წინაშე, ხოლო საქართველომ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსს მიაღწია,[7] გასაკვირი არ არის, რომ ფინანსური ნაკადების უდიდესი ნაწილი სესხებისა და საინვესტიციო პროექტებისგან შედგება. მთავრობამ დაამტკიცა მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021 წლებისთვის. თუმცა, COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის გამო წმინდა საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11.6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2020 წლის 30 სექტემბრისთვის მშპ-ს 71.3%-ია.

როგორც ეს მე-2 დიაგრამასა და მე-2 ცხრილშია ნაჩვენები, დახმარების უდიდესი ნაწილი მრავალმხრივ დახმარებაზე მოდის და სესხებსა და საინვესტიციო სესხებზე ნაწილდება. ამჟამად, მრავალმხრივი დახმარების უმსხვილესი ნაწილი გაცემულია ევროკავშირის ინსტიტუტების (27.13%),[8] აზიის განვითარების ბანკისა (22.67%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (10.02%) მიერ. საქართველოსთვის გამოყოფილი ორმხრივი ოფიციალური განვითარების დახმარების უდიდესი ნაწილი მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრებზე, რომლებიც განვითარების დახმარების კომიტეტს (DAC) შეადგენენ.[9] უმხვილესი ორმხრივი დონორები არიან გერმანია(13.28%), საფრანგეთი (3.23%), და აშშ (3.02%).

---

[6] მთავრობის დადგენილება №238, 1 ივნისი, 2015.

[7] მსოფლიო ბანკი, [ქვეყნების ახალი კლასიფიკაცია შემოსავლის დონის მიხედვით: 2019-2020]

[8] ტერმინი ‘ევროკავშირის ინსტიტუტები’ მოიცავს ევროკავშირსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს

[9] მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი განვითარების დახმარების კომიტეტის სრული წევრია, სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, განვითარების დახმარების კომიტეტის პუბლიკაციებში მას ხშირა




*დიაგრამა 2. 10 უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით*

| დონორი | თანხა (₾) | თანხა ($) | წილი |
|---|---|---|---|
| EU ინსტიტუტები | 7 200 013 164.48 ₾ | $5 531 483 555.86 | 27.13% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 6 014 366 723.70 ₾ | $2 406 318 181.30 | 22.67% |
| გერმანია | 3 523 207 642.42 ₾ | $1 274 976 208.21 | 13.28% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 2 659 741 121.88 ₾ | $919 883 010.93 | 10.02% |
| მსოფლიო ბანკი | 2 479 486 815.43 ₾ | $1 015 025 491.50 | 9.34% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) | 1 570 800 000.00 ₾ | $660 000 000.00 | 5.92% |
| საფრნაგეთი | 857 019 846.59 ₾ | $278 370 132.71 | 3.23% |
| ამერიკის გაერთიანებული შტატები (აშშ) | 800 115 326.20 ₾ | $321 248 245.84 | 3.02% |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) | 750 489 888.00 ₾ | $263 715 000.00 | 2.83% |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) | 679 728 332.00 ₾ | $359 200 000.00 | 2.56% |
| **ჯამი** | **26 534 968 860.71 ₾** | **$13 030 219 826.35** | **100%** |

*ცხრილი 1. 2020 წლის 10 უმსხვილესი დონორი მოცულობის მიხედვით*

ყველა წყაროდან მიღებული (OECD განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის წევრები, განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის არაწევრი პროვაიდერები და მრავალმხრივი დამხარების გამწევი სააგენტოები) მიმდინარე დახმარება, ჯამურად, 27.9 მილიარდ ლარს შეადგენს. ლარსა და აშშ დოლარს შორის გაცვლითი კურსი გამოანგარიშებულია მიმდინარე პროექტის დაწყების თარიღის მიხედვით და ანგარიშის შემუშავების დროს არსებული კურსის მიხედვით. მთლიანი დახმარების მონაცემები მიმდინარე

დახმარებისთვის ანგარიშში ასახულია, როგორც მრავალწლიანი საბიუჯეტო ასიგნებების ჯამი, რომელშიც ჩანს დონორების მიერ საწყის ეტაპზე პროექტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ჯამური ოდენობა.

საქართველოსთვის განვითარებაზე გამოყოფილი ფინანსების 23% ორმხრივ დახმარებაზე, ხოლო 77% - მრავალმხრივ დახმარებაზე მოდის. ქვემოთ, მე-3 ცხრილში მოცემულია უმსხვილესი ორმხრივი დონორების სია და ასახულია მათი მიერ საქართველოსთვის გაცემული სხვადასხვა ტიპის დახმარება. მე-4 ცხრილის მიხედვით პოლონეთი, შვეიცარია და დანია სამი უმსხვილესი დონორია, რომლებიც დახმარებას მხოლოდ გრანტებისა ან ტექნიკური დახმარების სახით გასცემენ.

| დონორის ტიპი | თანხა |
|---|---|
| ორმხრივი დონორები | 6 340 764 181.00 ₾ |
| მრავალმხრივი დონორები | 21 562 220 897.71 ₾ |
| **ჯამი** | **27 902 985 078.71 ₾** |

*ცხრილი 2. ორმხრივი და მრავალმხრივი დონორების მიერ გაცემული მიმდინარე დახმარების მთლიანი მოცულობა*

| დონორი | გრანტი | გარანტია | სესხი | ჰუმანიტ. დახმარება | მატ.-ტექნიკური დახმარება | ტექ./ ექსპერტული დახმარება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 260 102 389.37 ₾ | - ₾ | 3 081 372 300.00 ₾ | - ₾ | 63 760.00 ₾ | 181 669 193.06 ₾ | 3 523 207 642.42 ₾ |
| საფრანგეთი | 11 986 281.36 ₾ | - ₾ | 839 582 000.00 ₾ | 10 015.65 ₾ | 5 426.19 ₾ | 5 436 123.40 ₾ | 857 019 846.59 ₾ |
| აშშ | 21 557 588.18 ₾ | 2 693 051.44 ₾ | 8 465 932.77 ₾ | - ₾ | 220 336 517.20 ₾ | 547 062 236.61 ₾ | 800 115 326.20 ₾ |
| შვედეთი | 185 795 075.98 ₾ | 29 472 002.05 ₾ | - ₾ | - ₾ | - ₾ | 10 150 000.00 ₾ | 225 417 078.03 ₾ |
| ავსტრია | 52 638 500.21 ₾ | - ₾ | 119 843 400.00 ₾ | - ₾ | - ₾ | 2 101 778.29 ₾ | 174 583 678.50 ₾ |
| იაპონია | 4 743 842.88 ₾ | - ₾ | 95 697 000.00 ₾ | - ₾ | 443 030.57 ₾ | 1 037 288.00 ₾ | 101 921 161.45 ₾ |

*ცხრილი 3. სხვადასხვა ტიპის დახმარება ორმხრივი დონორებისგან*

| დონორი | გრნატი | ტექ./ექსპერტული დახმარება | მატ.-ტექნიკური დახმარება | ჰუმანიტარული დახმარება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 312 365 958.62 ₾ | 1 567 367.60 ₾ | - ₾ | - ₾ | 313 933 326.22 ₾ |
| შვეიცარია | 118 524 769.68 ₾ | 1 492 609.80 ₾ | - ₾ | - ₾ | 120 017 379.48 ₾ |
| დანია | 57 469 800.00 ₾ | 16 776 400.00 ₾ | - ₾ | - ₾ | 74 246 200.00 ₾ |
| ნორვეგია | 54 709 327.58 ₾ | 7 110 871.60 ₾ | - ₾ | - ₾ | 61 820 199.18 ₾ |
| ბრიტანეთი | - ₾ | 36 612 317.31 ₾ | - ₾ | - ₾ | 36 612 317.31 ₾ |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 20 488 934.12 ₾ | 5 114 394.99 ₾ | 421 690.50 ₾ | - ₾ | 26 025 019.61 ₾ |
| ნიდერლანდები | 10 916 681.00 ₾ | 945 507.52 ₾ | - ₾ | - ₾ | 11 862 188.52 ₾ |
| ესტონეთი | 3 051 501.24 ₾ | 2 345 075.31 ₾ | 723 665.52 ₾ | 103 728.00 ₾ | 6 223 970.07 ₾ |
| თურქეთი | 67 429.86 ₾ | 870 529.90 ₾ | 2 269 255.47 ₾ | 268 616.20 ₾ | 3 475 831.43 ₾ |
| სლოვაკეთი | 2 937 818.88 ₾ | - ₾ | - ₾ | - ₾ | 2 937 818.88 ₾ |
| ბულგარეთი | 1 345 197.10 ₾ | - ₾ | - ₾ | - ₾ | 1 345 197.10 ₾ |

*ცხრილი 4. ორმხრივი დონორები, რომლებიც დახმარებას გასცემენ მხოლოდ გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით*

საქართველოს მთავრობის მიერ შერჩეული ექვსი თემატური მიმართულება მე-3 დიაგრამაზეა მოცემული და უფრო ვრცლად არის აღწერილი ანგარიშის მე-2 თავში. „სხვა“ დახმარება მოიცავს მრავალსექტორულ დახმარებას, ადმინისტრაციულ ხარჯებს, საგანგებო რეაგირებას და სხვა.




*დიაგრამა 3. დახმარების ნაკადების თემატური განაწილება*

## 1.3. წლიური დახმარება (2020)

ამ ქვეთავში წარმოდგენილია დონორების მიერ 2020 წელს გაწეული დახმარების მონაცემები (ანგარიშის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, რომლებშიც კუმულაციური ოდენობებია ასახული). დახმარების მთლიანი მოცულობა 4.8 მილიარდი ლარია. მისი თითქმის 75% (3.6 მილიარდ ლარზე მეტი) ხუთ უმსხვილეს დონორზე ნაწილდება. (იხილეთ მე-4 დიაგრამა).




*დიაგრამა 4. 2020 წლის ხუთი უმსხვილესი დონორი*

დახმარების უმეტეს ნაწილს მრავალმხრივი დახმარების გამწევი დონორები გასცემენ (იხ. დიაგრამა 5).




*დიაგრამა 5. მრავალმხრივი და ორმხრივი დახმარება 2020 წელს*

დახმარების უმეტესობა არის სესხები (66%), მას მოსდევს გრანტები (27%) და ექსპერტული დახმარება (4%).




*დიაგრამა 6. დახმარება ტიპების მიხედვით 2020 წელს*

# თავი 2. დახმარება თემატური მიმართულებების მიხედვით

ეს თავი მოკლედ მიმოიხილავს მთავრობის მიერ გაწეულ ძალისხმევას, რასაც მოსდევს თითოეული თემატური მიმართულებისთვის გამოყოფილი დახმარების ანალიზი.

## ეკონომიკური ზრდა

2019 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდის მაჩვენებელმა 5.1% შეადგინა და მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით ქვეყანამ საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების რიგში გადაინაცვლა,[10] თუმცა, 2020 წლის განმავლობაში, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო, რამაც შეაფერხა ეკონომიკური აქტივობა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის დეკემბრის მეოთხე კვარტალური მიმოხილვის მიხედვით რეალური მშპ 7.9%-ით შემცირდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით (2019, მე-4 კვარტალი), ხოლო საშუალო რეალური ზრდა 2020 წელს 6.1%-ით განისაზღვრა. ეს ვარდნა, ძირითადად, გამოწვეული იყო COVID-19-თან დაკავშირებული ღონისძიებებითა და ჩაკეტვით, რამაც შეამცირა ეკონომიკური აქტივობა ისეთი სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი (ტურიზმიდან შემოსავალი 93.8%-ით შემცირდა), ვაჭრობა და სტუმართა განთავსება, ტრანსპორტი და მშენებლობა. ეს შეეხებოდა როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებას, ასევე, COVID-19-ის გავრცელების გამო, გლობალურ ვითარებასაც. 2020 წლის მეოთხე კვარტალში წლიური ინფლაცია 3.3% იყო, ხოლო საბაზო ინფლაციამ 4.9% შეადგინა.[11]

საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა პანდემიის მართვის პარალელურად ეკონომიკის მხარდაჭერა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით, მობილობის შემცირებისკენ მიმართული მკაცრი ზომების მიუხედავად, ეკონომიკური ვარდნა არ იყო ისეთი ნეგატიური, როგორც სხვა ქვეყნებში.[12] მიუხედავად იმისა, რომ რთულია პანდემიის შემდგომი გავრცელების, ისევე, როგორც ეკონომიკურ აქტივობაზე მისი ზეგავლენის პროგნოზირება, არსებული პროგნოზის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს გაჯანსაღდება, იმ დაშვებით, რომ აღარ იქნება COVID-19-ის ინფექციის შემდგომი მძიმე ტალღები.[13]

საქართველო კვლავაც მაღალ პოზიციას იკავებს „ბიზნესის წარმოების ინდექსში." მსოფლიო ბანკის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველო მე-7 ადგილზეა და უსწრებს რეგიონის ყველა ქვეყანას, ისევე, როგორც ევროკავშირის ბევრ ქვეყანას.[14] 2020 წლის Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში" საქართველო მე-12 ადგილს იკავებს, ხოლო, ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მეექვსეა.[15]
პანდემიის მიუხედავად, მთავრობამ განაგრძო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმების განხორციელება, რათა გააძლიეროს საქართველოს, როგორც რეგიონის ლოგისტიკური ჰაბის პოზიცია.[16]. მთავრობამ ასევე განაგრძო მუშაობა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარების სტრატეგიაზე და რეგულარულად მართავდა საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლების სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს. 2021 წლის

10 საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში, 2020
11 ფინანსთა სამინისტრო, 2020 წლის კვარტალური ეკონომიკური მიმოხილვა, გვ.7
12 საერთაშორისო სავალუტო ფონდი თანამშრომელთა ანგარიში ქვეყნების შესახებ 2020 (მე-7 გადახედვა)
13 მსოფლიო ბანკი, ბოლოდროინდელი ეკონომიკური სიახლეები მიმოხილვა
14 ბიზნესის წარმოების ინდექსი 2020
15 Heritage.org 2020 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი
16 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, თანამშრომელთა ანგარიში ქვეყნების შესახებ 2020 (მე-7 გადახედვა), გვ.16

ბოლოს დასრულდა და დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის.

2020 წელს სახელმწიფო პროგრამამ *აწარმოე საქართველოში* გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც 2014-2019 წლებში პროგრამამ მხარი დაუჭირა 359 პროექტს. ამ მხარდაჭერის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 783 მილიონ ლარს გაუტოლდა და 13 000 სამუშაო ადგილი შექმნა.[17] ამასთან, გატარდა სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების რეფორმა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და მონიტორინგი. მთავრობამ 2020 წლის მარტში დაასრულა სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების სექტორიზაცია. საქართველო პირველი ქვეყანაა ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში, რომელმაც მსგავსი სიღრმისეული სექტორიზაცია განახორციელა.[18] ასევე, სასოფლო მეურნეობას და სოფლების განვითარებას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში. საქართველო აგრძელებს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის, სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამის აღსრულებას. 2019 წლის დეკემბერში დამტკიცდა 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.[19]

**საგარეო დახმარება**:
ეკონომიკური ზრდის ჯგუფი საერთაშორისო დონორების მხრიდან დახმარების ყველაზე მსხვილი მიმღებია და მისი აქტიური/მიმდინარე დახმარება 14.9 მილიარდ ლარს (მთლიანი დახმარების 53.6%) შეადგენს. ეს სექტორი, ძირითადად, მოიცავს ტრანსპორტის განვითარების დაფინანსებას, რაც გულისხმობს, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე სატრანსპორტო პროექტებს. უნდა აღინიშნოს, რომ 8.7 მილიარდი ლარით ეს სექტორი საქართველოსთვის გაწეული დახმარების 58.4%-ს შეადგენს. ტრანსპორტის განვითარების სექტორში დახმარების 95%-ს მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტები გასცემენ - აზიის განვითარების ბანკი (48%), ევროკავშირის ინსტიტუტები (38%), და მსოფლიო ბანკი (7%).




*დიაგრამა 7. მიმდინარე კომულაციური დახმარება მოცულობის და OECD სექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა)*

[17] აწარმოე საქართველოში - 2019 წლის ინდუსტრიული კომპონენტის შედეგები, გამოქვეყნდა 2020 წელს
[18] ფინანსთა სამინისტრო, ფისკალური რისკების ანალიზი 2020
[19] გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სტრატეგიული დოკუმენტები

## ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

„ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების" თემატური მიმართულება მოიცავს ენერგეტიკის, კლიმატის, წყლის რესურსების, გარემოს და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველო ორმაგი მიზნისკენ მიისწრაფვის - მიაღწიოს ეკონომიკური ზრდას გარემოს დაცვის სფეროში მდგრადობის უზრუნველყოფასთან ერთად.

2020 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა განაგრძობდა გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (NEAP) აღსრულებას, რომელიც ქვეყნის ძირითადი დოკუმენტია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიმართულებით. ის განსაზღვრავს სექტორის გრძელვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებს და სამოქმედო გეგმას 2017-2021 წლებისთვის.

მწვანე ეკონომიკის წასახალისებლად დამტკიცდა ახალი კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ". კანონპროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი რეგულაცია , რომელიც *„დამბინძურებელი იხდის"* პრინციპს ეფუძნება " და მიზნად ისახავს კანონით დაარეგულიროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირება და პრევენცია. მოსალოდნელია, რომ საქართველოს პარლამენტი ამ კანონპროექტს 2021 წლის დასაწყისში დაამტკიცებს.

2020 წელს გაგრძელდა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმა და დასრულდა მისი მხარდაჭერის პროგრამის მესამე ფაზა. 2020 წლის მარტში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა გადამცემი სისტემის განვითარების ათწლიანი გეგმა გადამცემი სისტემის ოპერატორებისთვის (TSO). 2020 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია (დადგენილება №246). კონცეფცია მოიცავს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს. 2020 წლის 21 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი ახალი საკანონმდებლო აქტი - კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ" და კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ." გარდა ამისა, ახალი ცვლილებები შევიდა კანონში „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" ევროკავშირისა და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მიმართ არსებული ვალდებულებების შესაბამისად. ამგვარად, საქართველოს მთავრობა მუშაობს ენერგეტიკის სექტორში იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებაზე ადგილობრივი განახლებადი ენერგიის რესურსების გამოყენების მეშვეობით და, შედეგად, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება 2021-2030 წლების ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (NECP) შემუშავება და შემდგომი დამტკიცებაა. გეგმის თავების პროექტები 2020 წლის აგვისტოში ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს გაეგზავნა. გრძელდება მუშაობა გეგმის ანალიტიკურ ნაწილზე პოლიტიკის სცენარების შესახებ. ეროვნული გეგმა 2021-2030 წლებს მოიცავს და ხუთ ძირითად განზომილებას ეფუძნება: დეკარბონიზაცია, ენერგოეფექტურობა, ენერგოუსაფრთხოება, ენერგეტიკის შიდა ბაზარი, კვლევა, ინოვაცია და კონკურენცია.
ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტში განიხილება ახალი კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ.

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ეფექტურად შესასრულებლად 2020 წლის იანვარში საქართველოში შეიქმნა კლიმატის ცვლილების საბჭო (დადგენილება #54). განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შემუშავების პროცესი დასკვნით ეტაპზეა და კლიმატის ცვლილების საბჭო მას 2021 წლის დასაწყისში მიიღებს, რის შემდეგაც საქართველოს მთავრობა დოკუმენტს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) სამდივნოს გადაუგზავნის.

2020 წლის 22 მაისს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს ახალ ტყის კოდექსს.[20] დოკუმენტი მოიცავს ტყის სექტორის მართვის რეფორმის ყველა მნიშვნელოვან ნაწილს და ადგენს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. მისი მთავარი მიზანია, დაინერგოს ტყის მდგრადი და მრავალმხრივი გამოყენება, გაძლიერდეს ტყის ეკოსისტემების დაცვა და გონივრულად იქნეს გამოყენებული მათი სოციო-ეკონომიკური სარგებელი.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებასა და ბუნების დაცვას, ჯერ კიდევ აღსრულების პროცესშია 2014 - 2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო კანონპროექტი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ შემუშავების დასკვნით ეტაპზეა. კანონპროექტის წარდგენა მთავრობისთვის 2020 წლის დასასრულისთვის იგეგმება.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ნარჩენების მართვის სფეროში. ნარჩენების მართვის კოდექსის (2015) შესაბამისად, აღსრულების პროცესშია ბუნებრივი ნარჩენების მართვის სტრატეგია (2016-2030) და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020). მიმდინარე აქტივობები მოიცავს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობას.

**საგარეო დახმარება:**
eAIMS მონაცემთა ბაზის მიხედვით ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების თემატური მიმართულება საერთაშორისო დონორების დახმარების მეორე უმსხვილესი მიმღებია და მისი დახმარების აქტიური/მიმდინარე პორტფელი 5.8 მილიარდ ლარს აღემატება (მთლიანი დახმარების 20.8%). დონორების მიერ გაცემული დახმარება საქათველოს მთავრობის პრიორიტეტებს შეესაბამება, როგორც ეს **მე-8 დიაგრამაზეა** ნაჩვენები. დახმარების უმსხვილესი წილი გაიცემა ენერგეტიკის პოლიტიკისა და ელექტროენერგიის წარმოების მიმართულებით. მას მოსდევს წყალმომარაგება და წყალარინება, ნარჩენების მართვა და გარემოს დაცვა.

[20] ახალი ტყის კოდექსი დამტკიცდა 2020 წლის 22 მაისს და ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს.




*დიაგრამა 8. დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება)*

ამ თემატურ ჯგუფში უმსხვილესი დონორები არიან გერმანია (43%), აზიის განვითარების ბანკი (17%) და ევროკავშირის ინსტიტუტები (15%). დახმარების უდიდესი ნაწილი სესხებსა და საინვესტიციო პროექტებზე მოდის, თუმცა ის ასევე მოიცავს ტექნიკურ დახმარებასა და გრანტებს.

## სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება

როგორც უკვე აღინიშნა, COVID-19-ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური შეფერხებები და შოკები გამოიწვია ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მიწოდებაში. COVID-19-ის სწრაფად გავრცელების შესაჩერებლად და ეპიდემიის მრუდის გასასწორებლად, რათა ჯანდაცვის სისტემა ერთბაშად არ გადატვირთულიყო, ძალაში შევიდა სხვადასხვა რეგულაციები და შეზღუდვები. მთავრობამ უდიდესი ძალისხმევა გასწია ჯანდაცვის სისტემის მოსამზადებლად, ჰოსპიტალიზაციის გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, COVID-19-ის მქონე პაციენტების სამკურნალოდ და პარალელურად იმისათვის, რომ სხვა (არაინფიცირებული) პაციენტებისთვის საბაზისო სერვისები უწყვეტად მიეწოდებინა. სახელმწიფო ფარავს COVID-19-ის მქონე პაციენტების სადიაგნოსტიკო, ლაბორატორიულ და მკურნალობის ხარჯებს.

აღსანიშნავია, რომ მთავრობა ასრულებს 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შესრულებას და მუშაობს ახალ 2021-2030 წლების სტრატეგიაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2019 წელს ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებაც. ეს არის სპეციალური კანონი, რომელიც აერთიანებს ბავშვის კეთილდღეობისთვის აუცილებელ ყველა პრინციპს და ის ძალაში სრულად 2020 წლის 1 ივნისს შევიდა.[21]

შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერის ძირითადი მექანიზმი სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამაა (TSA), რომელიც მოიცავს ფულად და ზოგიერთ არაფულად დახმარებას. პროგრამაში რეგისტრირებული ოჯახების რიცხვი მაღალი რჩება და,

[21] საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი შეიმუშავა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა აგეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით.

პანდემიის გამო, ის კიდევ უფრო გაიზარდა. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, ასეთი ოჯახების რიცხვი მთლიანი მოსახლეობის 14.1%-ს შეადგენდა, რაც 330.9 ათას რეგისტრირებულ ოჯახს გულისხმობს. ამათგან, ბენეფიციარების რიცხვი 146.6 ათასი იყო (= ჯამში 524,598 ადამიანს).[22]

COVID-19-მა შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. 2020 წელს მოსახლეობის დაახლოებით 21.3% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა ცხოვრებას აგრძელებს.[23] საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2020 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო ძალის გამოკვლევის ინდიკატორების მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით და 20.4% შეადგინა. ეს მკვეთრი ნახტომია 2019 წლის ბოლოსთვის (მე-4 კვარტალი) პროგნოზირებულ 12%-თან შედარებით.[24] საქართველოში არსებულმა და კარგად დამკვიდრებულმა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემამ კარგი ბაზა შექმნა დაბალშემოსავლიანი და მოწყვლადი ოჯახების მხარდასაჭერად და COVID-19-ის რეგულაციებით გამოწვეული ეკონომიკური შოკების საპასუხოდ.  2020 წლის მარტში მთავრობამ წარმოადგინა ეკონომიკის მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც COVID-19-ის ნეგატიური გავლენების შესარბილებლად  იყო მიმართული და მოიცავდა სოციალური დახმარების სხვადასხვა ღონისძიებებს, საკვების დისტრიბუციას, ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების შეჩერებას, კომუნალური გადასახადებისა და კრედიტების სუბსიდირებას და სხვ.

COVID-19-ის გავრცელებით შექმნილი გამოწვევების მიუხედავად საქართველომ განაგრძო შრომის კოდექსის განახლება და მისი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოს პარლამენტმა მრავალი ცვლილება მიიღო, მათ შორის, კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, ცვლილებები „შრომის კოდექსსა“ და კანონში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MoH) აღასრულებს შრომის ბაზრის ახალ სტრატეგიას 2019-2023 წლებისთვის.[25] 2020 წლის იანვარში მუშაობა დაიწყო ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტომ. დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო შეითავსებს სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქციებსა და მანდატს შრომისა და დასაქმების მხარდაჭერის კუთხით.

სამუშაო ძალის უნარების განსავითარებლად და შედეგების გასაზრდელად საშუალო ვადიან პერიოდში, უმნიშვნელოვანესია განათლებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის გაუმჯობესება. ამჟამად, საქართველო აღასრულებს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას (2017-2021) და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სტრატეგიას (2013-2020). სტრატეგიები ეფუძნება უწყვეტი განათლების (Lifelong learning)  პრინციპს და მიზნად ისახავს განათლების მაღალი ხელმისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფას ყველა დონეზე.[26] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით, დაიწყო მუშაობა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი 2022-2032 წლების სტრატეგიაზე, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სამოქმედო გეგმას (2021-2025).

[22] სოციალური მომსახურების სააგენტო 2020 წლის მონაცემთა ბაზა
[23] საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 2020 წლის სტატისტიკა ცხოვრების დონის შესახებ
[24] მსოფლიო ბანკი, ბოლოდროინდელი ეკონომიკური სიახლეები მიმოხილვა
[25] საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების ანგარიში. ერთიანი სამუშაო დოკუმენტი. თებერვალი 2020
[26] საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში 2020

2022-2032 წლების სტრატეგია სამინისტროსთვის პოლიტიკის მთავარი დოკუმენტი იქნება და დაფარავს განათლების სისტემის ყველა სფეროს: სკოლამდელი განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება და მეცნიერება.
2020 წელს, COVID-19-ის გამო საგანმანათლებლო ინსტიტუტების დახურვამ მნიშვნელოვნად შეაფერხა განათლების პროცესი მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც. შესაბამისად, მთავრობის დავალება იყო დისტანციური განათლებისთვის საჭირო ყველა რესურსის მობილიზება მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ეს რესურსები მოიცავს როგორც ტექნიკურ საშუალებებს, ასევე, მასწავლებლების მზაობას ჩაატარონ ონლაინ გაკვეთილები/ლექციები, მოახდინონ პროგრამის მოდიფიკაცია და ადაპტირდნენ ელექტრონული სწავლების პლატფორმებთან.

**საგარეო დახმარება:**

eAIMS მონაცემთა ბაზის მიხედვით, სოციალური კეთილდღეობისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების თემატური მიმართულებების ჯამურმა დაფინანსებამ 2.6 მილიარდი ლარი შეადგინა, ანუ საქართველოსთვის გაწეული დახმარების 9.5%. ამ სექტორში უმსხვილესი დონორები იყვნენ მსოფლიო ბანკი, ევროკავშირის ინსტიტუტები და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB). ამ დონორების მიერ გაწეული დახმარება, ჯამურად, ამ სექტორებში დახმარების 79%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ, პანდემიის გამო, დახმარების უდიდესი წილი ჯანმრთელობის ქვესექტორზე მოდის, რამაც 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა.




*დიაგრამა 9. უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)*

| სექტორი | ოდენობა |
|---|---|
| ჯანმრთელობა | 1 829 591 400.35 ₾ |
| მულტისექტორული სწავლება | 454 539 871.10 ₾ |
| სკოლამდელი/ დაწყებითი განათლება | 138 127 673.07 ₾ |
| კულტურა და დასვენება | 121 048 141.50 ₾ |
| დასაქმების პოლიტიკა | 82 990 247.55 ₾ |
| უმაღლესი განათლება | 10 650 886.17 ₾ |
| საშუალო განათლება | 2 016 310.01 ₾ |
| სოფლის განვითარება | 1 540 582.63 ₾ |
| სოციალური სერვისები | 1 176 800.00 ₾ |
| პროფესიული მომზადება | 985 543.89 ₾ |
| ურბანული განვითარება | 388 500.00 ₾ |

*ცხრილი 5. მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობისა და OECD სექტორების მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)*

## დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განსახორციელებლად საქართველოს მთავრობა ორ წელიწადში ერთხელ ამტკიცებს საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედოს გეგმას. 2019 წელს დამტკიცდა რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანიც საჯარო მმართველობის რეფორმის 2020 წლის გზამკვლევის შესრულება იყო. გზამკვლევი ექვსი ძირითადი სფეროსგან შედგება: პოლიტიკის დაგეგმვა, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, სერვისების მიწოდება, საჯარო ფინანსების მართვა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.[27] ბოლო პერიოდში საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ წარმოადგინა საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში (მომზადდა საბჭოს სამდივნოს მიერ) და რეფორმის გზამკვლევის შესრულების ანგარიში (მომზადდა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ). წლიურ ანგარიშში სამდივნომ აღნიშნა, რომ შედეგების ინდიკატორების მისაღწევად საჭირო რამდენიმე ღონისძიება პანდემიის გამო შეყოვნდა.
ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო პოლიტიკის განვითარებისა და კოორდინაციის ჩარჩო დოკუმენტი.[28] პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო ადგენს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტებს და შეიცავს დამხმარე მეთოდოლოგიურ გზამკვლევს პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიღება მნიშვნელოვანი მიღწევაა თვითმართველობასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაციის გზაზე. 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიმართულებები შემდეგია: 1. ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების ზრდა 2. ადგილობრივი

[27] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა
[28] პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სახელმძღვანელო, 2019

თვითმმართველობების მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების განვითარება 3. სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის განვითარება.

საქართველო ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსზე (ქულა 56/100, რეიტინგი 45/180).[29] წლების განმავლობაში საქართველომ აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების ექვს სფეროში (ანგარიშვალდებულება, პოლიტიკური სტაბილურობა, ძალადობის აღმოფხვრა, მთავრობის ეფექტიანობა, რეგულირების ხარისხი, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ინდიკატორის შემთხვევაში (რეგულირების ხარისხი, კორუფციის კონტროლი, მთავრობის ეფექტურობა) საქართველოს ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო რეიტინგზე მაღალი მაჩვეენებლი აქვს.[30]

2016-2020 წლებში განხორციელდა მართლმსაჯულების რეფორმის ორი ტალღა და მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. მათ შორის, დაინერგა სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა, გაუმჯობესდა მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და საკანონმდებლო პროცესი. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობისა და საჯაროობის გასაუმჯობესებლად. 2020 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები კანონში საერთო სასამართლოების შესახებ, რომლებიც ეხება უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების შერჩევას.

**საგარეო დახმარება:**

e-AIMS მონაცემთა ბაზის მიხედვით, დემოკრატიული მმართველობის და კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების თემატურმა მიმართულებებმა მიიღო 2.8 მილიარდი ლარის დაფინანსება, რაც მთლიანი დახმარების 10%-ს შეადგენს. აზიის განვითარების ბანკი, ევროკავშირის ინსტიტუტები და აშშ ამ სექტორის უმსხვილესი დონორები არიან და ამ სექტორებში მთლიანი დახმარების 82% მათზე მოდის.




*დიაგრამა 10. უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება)*

[29] საერთაშორისო გამჭვირვალობა, ქვეყნების მონაცემები
[30] მსოფლიო ბანკი, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (WGI)

| სექტორი | ოდენობა |
|---|---|
| საჯარო მმართველობა, კორუფციის წინააღმ. ბრძოლა, საჯარო ფინანსების მართვა | 1 119 155 091.56 ₾ |
| კონფლიქტების პრევენცია | 1 000 810 852.59 ₾ |
| სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა | 210 325 408.99 ₾ |
| გენდერული თანასწორობა | 174 222 320.36 ₾ |
| დეცენტრალიზაცია | 160 605 353.01 ₾ |
| ადამიანის უფლებები და მობილობა | 119 720 950.53 ₾ |
| საკანონმდებლო და მართლმსაჯულების სფეროს განვითარება | 29 166 196.56 ₾ |
| საკანონმდებლო ორგანოები და პოლიტიკური პარტიები | 12 402 483.78 ₾ |

*ცხრილი 6. ჯამური მიმდინარე დახმარება მოცულობისა და OECD სექტორის მიხედვით (დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება)*

## სხვა დახმარების ნაკადები

დახმარება, რომელიც ანგრიშში განხილულ ექვს თემატურ ჯგუფს არ განეკუთვნება, მოქცეულია ჯგუფში „სხვა დახმარების ნაკადები.“ სხვა დახმარების ნაკადებთან დაკავშირებული მონაცემები აღწერს უმსხვილეს დონორებს მოცულობისა და დახმარების ტიპის მიხედვით (იხ. მე-7 ცხრილი). ამ სექტორში დახმარება 1.6 მილიარდ ლარს შეადგენს, ანუ მთლიანი დახმარების 6%-ს. აქედან, 47.7%, ანუ 806 მილიონ ლარზე მეტი ვალთან დაკავშირებულ მოქმედებებზე მოდის.

| დონორი | ვალთან დაკავშირებული საქმიანობა | ზოგად საბიუჯეტო მხარდაჭერასთან დაკავშირებული დახმარება | მულტისექტორული დახმარება | დახმარება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| EBRD | 806 675 962.18 ₾ | - ₾ | 13 768 560.00 ₾ | - ₾ | 820 444 522.18 ₾ |
| მსოფლიო ბანკი | - ₾ | 320 896 240.00 ₾ | 5 507 205.00 ₾ | - ₾ | 326 403 445.00 ₾ |
| EU ინსტიტუტები | - ₾ | 291 090 000.00 ₾ | 25 120 711.72 ₾ | 5 523 630.00 ₾ | 321 734 341.72 ₾ |
